

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია 37 02 06

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა 37 02 06

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ათასი ლარი

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებული გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
37 02	პროგრამა					
37 02 06	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	3,630	3,630	998	27.49	101

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას 2016 წლის 2 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები, შემოსულია დაახლოებით - 40 299 ნიმუში, მათ შორის ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, მრპ-ს პათმასალა, ტყავისა და ნიადაგის გამოკვლევა ჯილეხზე, ცოფი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ბრადზოტი, ემკარი და სხვა)

ჩატარებულია სხვადასხვა საკვები პროდუქტების - მრპ-სა და ღორის ტანხორცის, სხვადასხვა მზა პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების, რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიური გამოკვლევა. კვლევები ჩატარდა- სალმონელა, ლისტერია მონოციტოგენეზი, ცისტიცერკოზი, ტრიქინელოზი. ასევე ფიზიკო-ქიმიურად გამოკვლეულია ცხოველთა საკვები (კომბინირებული საკვები, სიმინდი და სხვა) (ცილები, ცხიმები, უჯრედანა და სხვა შემცველობაზე). წყლის ნიმუშები სასმელად ვარგისიანობაზე და სხვა.

გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 12, ბრუცელოზი- 533, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 14, პასტერელოზი - 8, სალმონელოზი - 1, მასტიტი - 64, ემკარი - 1, ბრადზოტი - 13, ჯილეხი - 5, თურქული 94, წრპ-ს ჭირისანტისხეულები -105.

საკვები პროდუქტების (მზა პროდუქტი, ნახევარფაბრიკატი, ხორცპროდუქტი, რძე, რძის პროდუქტი, წყალი და სხვა) მიკრობიოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა: სალმონელა -5, ლისტერია მონოციტოგენეზი -3, ნჩჯბ -68, მაფანმრ - 16, შ. ურეუს -3, პროტეუსი -2.

მთავარი ბუღალტერი თამარ მაჭარაძე